ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 6-29

"16" ივნისი 2010 წ

ქ. თბილისი

№05
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"16" 06 2010 წ.
№ 010.220.020.36.101.000.063

„ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 20 ნოემბრის №2-7 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 20 ნოემბრის №2-7 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ"

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად დამტკიცდეს ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება".

გ) გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება"

დ) გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისის საკრებულოში (შემდგომში-საკრებულო) საკითხების წინასწარი მომზადების, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით, დედაქალაქში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა, ბავშვთა დაცვის, დემოგრაფიის და ვეტერანთა საკითხების სფეროში საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავების მიზნით შექმნილია ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია (შემდგომში-კომისია)".

ე) გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისია შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს ჯანმრთელობის დაცვის, მედიცინის, სოციალური დაცვის, შრომითი ურთიერთობების, დემოგრაფიის და ვეტერანთა საკითხების სფეროში სამართლებრივი აქტების პროექტებსა და დასკვნებს".

ვ) გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ზ) გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) კოორდინაციას უწევს დედაქალაქში ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ, შრომით და სხვა საკითხებს".

თ) გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულო კომისიის უფლებამოსილების ვადით ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (არა უმეტეს 2 მოადგილისა);

4. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრს".

2. გადწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი